

პრეზიდენტმა 226 პატიმარი შეინყადა



საქართველოს პრეზიდენტმა 226 პატიმარი შეინყადა, მათ შორის ერთი უვადო პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულია. აღნიშნულის შესახებ შენყადების კომისიის თავმჯდომარემ ზვიად ქორიძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„დღეს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა შენყადების მორიგი აქტი. შენყადებულია 226 მსჯავრდებული, მათგან 141 მსჯავრდებული დღესვე დატოვებს საპატიმრო დაწესებულებას, ხოლო 85 მსჯავრდებულს შეუმცირდა სასჯედები. 27 სექტემბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით მუშაობდა შენყადების კომისია და სურ განიხილა 1406 პირის საქმე. შენყადების აქტის საფუძველზე 226 მსჯავრდებულია შენყადებული, მათგან 141 დღესვე დატოვებს დაწესებულებას. შენყადების აქტი შეეხო 13 მსჯავრდებულ ქაღბატონს და ორ არასრულწლოვან მსჯავრდებულს. 13 ქაღბატონიდან 12 დღესვე დატოვებს საპატიმრო დაწესებულებას, ერთს შეუმცირდა სასჯედი. შენყადებულთა შორის არის ერთი უვადო მსჯავრდებული, მას პრეზიდენტმა დაუდგინა გათავისუფლების თარიღი“, - განაცხადა პრესკონფერენციაზე შენყადების კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძემ.

პრეზიდენტის განკარგულება უკვე გადაეგზავნა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს.